ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წლიური ანგარიში

2024-2025 წწ.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი

სარჩევი

1. სწავლა-სწავლების მუდმივი გაუმჯობესება 3
2. საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარება..... 6
3. პერსონალის განვითარების ღონისძიებები 25
4. კვლევა 26
5. აკადემიური კეთილსინდისიერების განვითარება 28
6. ინტერნაციონალიზაცია..... 31
7. მეწარმეობისა და ინოვაციების ხელშემწყობი და მესამე მისიის აქტივობები 34
8. ელექტრონულ სისტემებთან სტუდენტებისა და პერსონალის ინტერაქციის მიმოხილვა 37
9. რეაგირება და გაუმჯობესება წინა წლის ანგარიშის გათვალისწინებით 38

1. სწავლება-სწავლის მუდმივი გაუმჯობესება

სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების, საგანმანათლებლო პროგრამების და ლექტორების შეფასებები

2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში, ალტე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა სტუდენტთა გამოკითხვებს საგანმანათლებლო კურსების, პროგრამებისა და ლექტორების შესაფასებლად. შეფასებები განხორციელდა როგორც გეგმიურად, ალტე უნივერსიტეტის ხარისხის კვლევების პოლიტიკის შესაბამისად, ისე საჭიროებაზე დაყრდნობით, იმ პროგრამებთან მიმართებით, რომელთაც საანგარიშო პერიოდში უწევდათ აკრედიტაცია (კომპიუტერული მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი) ან/და აკრედიტაციის თანმდევი შეფასება - მონიტორინგი (მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა).

გარდა ამისა, გასული აკადემიური წლის განმავლობაში განხორციელდა ორი, საჭიროებაზე დაფუძნებული თემატური ანალიზი: *ინგლისური ენის სწავლებისა და ორგანიზების* და *ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ უნივერსიტეტში.*

სტუდენტთა მხრიდან მიღებული უკუკავშირი გაზიარდა სკოლებთან, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და თავად შესაბამისი კურსების განმახორციელებელ ლექტორებთან. უკუკავშირის შესაბამისად განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და დაინიცირდა შესაბამისი ცვლილებები, როგორც საუნივერსიტეტო, ისე სკოლებისა და პროგრამების დონეებზე, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანგარიშებში იდენტიფიცირებული გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით. ქვემოთ მოცემულია აღნიშნულის რამდენიმე მაგალითი.

1. კვლევების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, უნივერსიტეტის OSCE ცენტრმა განახორციელა რიგი ცვლილებებისა OSCE და OSPE გამოცდების პროცედურებში. კერძოდ, სტუდენტების უკმაყოფილების ფონზე, რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე სემესტრის განმავლობაში, 2024-2025 წლის გაზაფხულის სემესტრში სრულად

გამოიცვალა გამომცდელთა კორპუსი. გარდა ამისა, შემუშავდა საგამოცდო პროცესის მონიტორინგის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს OSCE ცენტრის მენეჯერი.

2. სტუდენტების მიერ მრავალჯერ დაფიქსირებული უკუკავშირის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა განაახლა სკამები და მერხები ყველა საგამოცდო სივრცეში და სტუდენტები სარგებლობენ განახლებული, მათზე მეტად მორგებული ინვენტარით, გარდა ამისა, მათივე შენიშვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გაზარდა კონდინცირებული სივრცეების რაოდენობა.
3. საგამოცდო ცენტრმა განაახლა საგამოცდო დებულება, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება და რომლის ფარგლებშიც მკაფიოდ დარეგულირდა სტუდენტებისთვის ერთი დღის განმავლობაში ერთზე მეტი გამოცდის დანიშვნის საკითხი. კერძოდ, დებულების ახალი ვერსიის თანახმად, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება სტუდენტს დაენიშნოს დღის განმავლობაში ერთზე მეტი გამოცდა. აღნიშნული ცვლილება აღმოფხვრის წინა წლებში დაფიქსირებულ არაერთ შენიშვნას აღნიშულ საკითხზე, როდესაც სტუდენტები აფიქსირებდნენ ერთი დღის განმავლობაში 2 ან მეტი გამოცდის დანიშვნის შემთხვევებს, რაც მნიშვნელოვნად აუარესებდა მათ საგანმანათლებლო გამოცდილებას.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პირველი ნახევრიდან ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დანერგა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც, დეპარტამენტი თემატური მიმართულებების მიხედვით ახორციელებს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ, გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. 2025 წლის გაზაფხულზე განხორციელდა საგამოცდო ცენტრთან და ზოგადად, უნივერსიტეტში, საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საგამოცდო პროცესთან და საგამოცდო ცენტრის მიმართ გაცემული 58 რეკომენდაციიდან შესრულებული იყო 17, ხოლო 20 რეკომენდაციას კი მიმდინარე სტატუსი ჰქონდა. შესრულებული არ იყო 58 დან 4 რეკომენდაცია, ხოლო 17 რეკომენდაციაზე კი არ იყო დაბრუნებული რაიმე ტიპის უკუკავშირი.

მონიტორინგის შემდეგ ეტაპებზე, რომელიც 2025-2026 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში დაიწყო, ფასდება სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესწავლა.

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები (ზოგადი კმაყოფილება, აკადემიური, კარიერული და ფსიქოლოგიური სერვისებით კმაყოფილება)

2024 წლის შემოდგომაზე ჩატარდა სტუდენტთა კმაყოფილების ყოველწლიური კვლევა, რომელიც განხორციელდა ალტე უნივერსიტეტში დამტკიცებული სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კითხვარის გამოყენებით და მოიცავდა სტუდენტთა გამოცდილების ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს შეინიშნებოდა სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევაში ჩართული სტუდენტების მნიშვნელოვანი ზრდა. 2023 წლისგან განსხვავებით, როდესაც აღნიშნულ გამოკითხვაში სულ 54 სტუდენტი მონაწილეობდა, 2024 წელს კი იმავე კვლევაში 255-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში მოცული საკითხების უმრავლესობისადმი სტუდენტები ძირითადად დადებით დამოკიდებულებას აჩვენებდნენ, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვან რიგ საკითხებთან მიმართებით, რომლებთან მიმართებითაც დაწესებულების სამწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ფიქსირდებოდა სამიზნე ნიშნულზე მნიშვნელოვნად დაბალი შეფასებები. მაგალითისათვის, აკადემიური და პერსონალური მხარდაჭერის სერვისებით კმაყოფილების ნაწილში, სამოქმედო გეგმის თანახმად, 2024-25 წლისათვის სამიზნე ნიშნული 85%-ს შეადგენს, კვლევის

შედეგების თანახმად კი აღნიშნული ამჟამად 48%-ია. იგივე შეეხება სასწავლო და სოციალურ სივრცეებით, კვების და სპორტული ობიექტებით კმაყოფილებას, რომლის სამიზნე ნიშნულიც 80%-ია, ხოლო კვლევის შედეგების თანახმად, სივრცეების ნაწილში 58%-ს, ხოლო საკვები სივრცის ნაწილში კი 54%-ს შეადგენს.

კვლევის ფარგლებში სულ გაცემული იყო 20 რეკომენდაცია და როგორც კვლევის მიგნებები, ისე თავად რეკომენდაციები გაუზიარდათ რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებსა და სტრუქტურულ ერთეულებს. კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული გამოწვევების გათვალისწინებით, თავად ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დაგეგმა და 2025-2026 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში განახორციელებს თემატურ ანალიზს საერთაშორისო სტუდენტების კმაყოფილების შესახებ, სტუდენტთა განწყობებისა და საჭიროებების უკეთ შესწავლის მიზნით.

2. საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარება

საგანმანათლებლო პროგრამებში შესული ცვლილებები

ყოველწლიურად, ალტე უნივერისტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები აკადემიური წლის ბოლოს წარმოადგენენ პროგრამის წლიურ ანგარიშს, რომელშიც ასახულია წლის განმავლობაში პროგრამაში განხორციელებული ძირითადი ცვლილებები და ასევე სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები/ტენდენციები, რომელიც ხელს უწყობს პროგრამების მდგრად განვითარებას. წინამდებარე ანგარიშში თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შეჯამებულია ძირითადი ცვლილებები.

მედიცინის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები

2025 წელს, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები სასწავლო კურსების ნაწილში, რათა ისინი სრულ შესაბამისობაში მოსულიყვნენ სამედიცინო განათლების თანამედროვე მოთხოვნებთან:

- ტექნოლოგიური ინტეგრაცია: განახლდა „სამედიცინო ინფორმატიკის“ სილაბუსი, სადაც გაძლიერდა პრაქტიკული უნარების კომპონენტი და დაემატა ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების საკითხები მედიცინაში.
- სოციალური პასუხისმგებლობა: გადამუშავდა „სოციოლოგიის“ კურსი, რათა სტუდენტებმა უკეთ გაიაზრონ ჯანდაცვის სოციალური დეტერმინანტები.
- შეფასების სისტემის დახვეწა: ქართულენოვან პროგრამაზე დაინერგა „ქართული ენის“ კურსის შეფასების განახლებული სისტემა, რაც ორიენტირებულია სტუდენტთა აქტივობის ზრდასა და ობიექტურობის ხარისხის ამაღლებაზე.

2024-2025 სასწავლო წელს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) შინაარსობრივი განვითარება წარიმართა დარგის თანამედროვე გამოწვევების, ტექნოლოგიური პროგრესისა და სტუდენტთა უკუკავშირის გათვალისწინებით. მედიცინის საერთაშორისო სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებებით, საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა შემდეგი სტრუქტურული და შინაარსობრივი მოდიფიკაციები:

პირველ რიგში, სასწავლო კურსებმა განიცადა მოდერნიზაცია და ციფრული ინტეგრაცია გლობალური ჯანდაცვის ტენდენციების საპასუხოდ, გადაიხედა რამდენიმე ფუნდამენტური და კლინიკური კურსის სილაბუსი:

- სამედიცინო ინფორმატიკა: კურსი არსებითად გარდაიქმნა. აქცენტი გადავიდა არამხოლოდ საბაზისო კომპიუტერულ უნარებზე, არამედ ციფრული ჯანდაცვისა (eHealth) და ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებაზე სამედიცინო პრაქტიკაში. განახლებული შინაარსი მოიცავს სამედიცინო მონაცემთა დიდი ბაზების (Big Data) მართვასა და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების გაცნობას.
- სოციოლოგია: განახლდა კურსის შესავალი ნაწილი და ძირითადი თემატიკა. ახალი სილაბუსი ფოკუსირებულია ჯანმრთელობის სოციალურ დეტერმინანტებზე, რაც სტუდენტებს ეხმარება გააცნობიერონ პაციენტის ჯანმრთელობაზე მოქმედი სოციო-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები. ეს ცვლილება ემსახურება ჰოლისტური მიდგომის ჩამოყალიბებას მომავალ ექიმებში.
- დიაგნოსტიკური მოდულები: საგნებში „ლაბორატორიული დიაგნოსტიკა“ და „რადიოლოგიური დიაგნოსტიკა“ მასალები განახლდა ევროპული და ამერიკული გაიდლაინების უახლესი პროტოკოლების შესაბამისად, რათა

სტუდენტებმა მიიღონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული უახლესი ინფორმაცია.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა პაციენტთან კომუნიკაცია ქართულ ენაზე. აღნიშნულთან მიმართებით განხორციელდა ცვლილება, კერძოდ: საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N 25-01), შეიცვალა „ქართული ენის“ სასწავლო კურსის შეფასების სისტემა. შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ქულების გადანაწილების ახალი სქემა.

აღნიშნულის მიზანი იყო შეფასების სისტემის ვალიდურობის გაზრდა და აქცენტის გადატანა პრაქტიკულ საკომუნიკაციო უნარებზე (Speaking/Listening), ნაცვლად მხოლოდ გრამატიკული კომპონენტებისა. ეს ცვლილება მიზნად ისახავს კლინიკური პრაქტიკისთვის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის გაძლიერებას.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესში კვლევითი კომპონენტის ინტეგრაცია გახდა უფრო მიზნობრივი და კლინიკურად რელევანტური. 2024-2025 წელს დამტკიცდა (ოქმები N 24-02, N 24-06) სადიპლომო და კვლევითი თემები, რომლებიც პირდაპირ პასუხობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალურ პრობლემებს:

- ენდოკრინოლოგია: „სიმსუქნისა და ინსულინრეზისტენტობის კავშირი ტიპი 2 დიაბეტის დროს“;
- პედიატრია და თერაპია: „რკინის დეფიციტური ანემია მოზარდებში“, „პასიური მწეველობის გავლენა ასთმიან პაციენტებზე“;
- ონკოლოგია და გინეკოლოგია: „ენდომეტრიოზის ბიომარკერები“, „საკვერცხის პოლიკისტოზური სინდრომი“. აღნიშნული თემების ინტეგრირება „კვლევა მედიცინაში“ (Research in Medicine I-IV) მოდულებში უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ რეალური მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს.

ასევე, სასწავლო გეგმაში განხორციელდა ევროპული სტანდარტების იმპლემენტაცია. კერძოდ, საერთაშორისო პროექტის „LIFESTRAND“ ფარგლებში, პროგრამის კურიკულუმში (კერძოდ, „ექიმი და პაციენტის“ და „კლინიკური უნარების“ მოდულებში) ინტეგრირდა პირველადი გადაუდებელი დახმარების სწავლების განახლებული მეთოდოლოგია.

- დანერგა სიცოცხლის გადარჩენის თანამედროვე ალგორითმები (BLS/ACLS ელემენტები);

- სასწავლო პროცესი გამდიდრდა სიმულაციური სცენარებით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს უსაფრთხო გარემოში მართონ კრიტიკული პაციენტები.

ამასთანავე, ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, სილაბუსებში გაძლიერდა აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულება, სასწავლო კურსების სილაბუსებში (განსაკუთრებით „აკადემიური წერა“ და „კვლევის საფუძვლები“) გაძლიერდა აკადემიური კეთილსინდისიერების კომპონენტი. სტუდენტებისთვის სავალდებულო გახდა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების (Elsevier, Scopus) გამოყენება დავალებების შესრულებისას, რაც აისახა შესაბამის შეფასების რუბრიკებში.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

2024 წელს ალტე უნივერისტეტმა შეიმუშავა ბიზნესის ადმინისტრირების ახალი, 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც 3 წელზეა გაწერილი და რომელმაც სტუდენტთა მიღება 2025 წლიდან დაიწყო და უნივერსიტეტში იქამდე მოქმედი, ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები შიდა მობილობით გადავიდნენ 180 კრედიტიან პროგრამაზე. მოცემული პროგრამა ორიენტირებულია სამეწარმეო აზროვნების განვითარებასა და თანამედროვე ბიზნეს-ტექნოლოგიების შესწავლაზე.

საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამას რამდენიმე არჩევითი საგანი დაემატა, მაგალითად მენეჯმენტის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა. განხორციელდა არსებული სილაბუსების სრულყოფა ფინანსურ და მენეჯერულ აღრიცხვაში.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამაში გაძლიერდა ანტრეპრენერობის და ტექნოლოგიების შესწავლა, რაც შესაბამისად აისახა სილაბუსებში. ამასთან გაძლიერდა პრაქტიკული ელემენტები, გადახალისდა სწავლება-სწავლის მეთოდები, და ძირითად საგნებში უფრო თანამედროვე თემატიკა შევიდა. პროგრამის სრულყოფა თანამედროვე ბიზნეს გარემოს ცვლილებებით არის განპირობებული.

წარმოდგენილი პროგრამით ყველა სასწავლო კურსში განახლდა ლიტერატურის სია და მაქსიმალურად იქნა გამოყენებული ის უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელითაც ისწავლება შესაბამისი სასწავლო კურსები დასავლეთის უნივერსიტეტებში, განსაკუთრებული ორიენტაციით კვლევითი უნარების გამომუშავებაზე.

სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით სამაგისტრო პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც თეორიული სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან დაკავშირებას ემსახურება. ამ მიმართულებით, ცვლილებები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

არჩევითი კურსების პაკეტი გაფართოვდა და დაემატა ახალი საგნები, როგორიცაა სტრატეგიული ტალანტის მართვა და შემთხვევების ანალიზი. სავალდებულო კომპონენტში შემოვიდა ორგანიზაციული ქცევა.

თეორიულ კურსებში დაინტეგრირდა პრაქტიკული აქტივობები, რეალური შემთხვევების ანალიზი და გუნდური სამუშაო, რაც ზრდის ანალიტიკურ, საკომუნიკაციო და გუნდურ უნარებს. შესაბამისად სწავლება დაეყრდნო „ჩაშენებული პრაქტიკის“ გამოცდილებას.

სევე დაემატა პროექტების მართვის სავალდებულო კომპონენტი, სადაც სტუდენტები სხვადასხვა სექტორში რეალურ მონაცემებზე მუშაობენ.

პროგრამის დასკვნით ეტაპზე, სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომები გაკეთდა რეალური ორგანიზაციების მაგალითებზე.

კვლევების წარმართვის მიზნით, 2025 წლის შემოდგომის სემესტრიდან კვლევის მეთოდებს დაემატა SPSS-ის სწავლება. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისთვის უნივერსიტეტმა შეიძინა SPSS-ის ოფიციალური ვერსია, რომელიც დაინერგა კომპიუტერულ ცენტრში და გამოიყენება ისეთ კურსებში, როგორიცაა ,,სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი” და ,,კვლევის მეთოდები”, რათა სტუდენტებმა შეძლონ პრაქტიკული მონაცემების დამუშავება და ანალიტიკური უნარების განვითარება.

აღსანიშნავია პროგრამაში კერძო სექტორის წარმომადგენელი პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობა, რომლებიც ლექტორებთან ერთად ავითარებენ სტუდენტების პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოების დანერგვა, მათ შორის საბუღალტრო სიმულაციების და ფინანსური მენეჯმენტის მაგალითებზე.

ამასთან გათვალიწინებულია სიმულაციური და ინოვაციური სასწავლო მეთოდების დანერგვის გაფართოება რიგ კურსებში, მათ შორის Capsim Business Simulation, Markstrat Simulation და Project Management Simulation–ის გამოყენება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მართონ კომპანიის, მარკეტინგის სტრატეგია და პროექტები რეალურ ბიზნეს-სიტუაციებთან მიახლოებულ გარემოში.

იგეგმება ასევე პროგრამას დაემატოს AI და სტრატეგიული IT -ზე ორიენტირებული კურსები, რაც სტუდენტებს მოამზადებს ლიდერული როლებისთვის ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ დასაქმების ბაზარზე.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რიგი ცვლილებებისა. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, უფრო მეტი ყურადღება დაეთმო სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის ტექნიკის თავისებურებებს და უკეთ მოერგო თითოეულ სასწავლო კურსს. შეფასების მეთოდებში გაიწერა დოკუმენტის შედგენა, კერძოდ: სამართლებრივი აქტების პროექტების შედგენა, ხელშეკრულების შედგენა, ოქმის შედგენა, სარჩელის შედგენა და ა.შ.

განხორციელებული ცვლილებების საშუალებით, გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები სრულად მოვიდა შესაბამისობაში კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგების მიღწევასთან.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმას დაემატა ახალი სასწავლო კურსები: კერძოდ, სავალდებულო საგანი - სახელმწიფო ენა და აკადემიური წერა (ინტეგრირებული სასწავლო კურსი). პროგრამას ასევე დაემატა 4 ახალი არჩევითი სასწავლო კურსი სამართლისა და ტექნოლოგიების მიმართულებით:

,,ტექნოლოგიების სამართალი", ,,სმარტკონტრაქტების სამართლებრივი რეგულირება", ,,თანამედროვე ტექნოლოგიები და შრომის სამართალი" და ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვა სატელეკომუნიკაციო სამართალში".

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამართლის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ცოდნის გაღრმავება/გაფართოებაზე სტუდენტთა ინტერესების შესაბამისი კონკრეტული (სისხლის, საჯარო, კერძო სამართლის) მიმართულებით. შესაბამისად, ახალი არჩევითი სასწავლო კურსების დამატება და სტუდენტებისათვის შეთავაზება, პრიორიტეტული საკითხებია. საანგარიშო პერიოდში სასწავლო გეგმას დაემატა ახალი არჩევითი კურსები საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით, კერძოდ: საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების თანამედროვე გამოწვევები აღსრულების სამართალში; გადახდისუუნარობის წარმოება და მისი პრაქტიკული ასპექტები; ფარული საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის პროცესში; ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები სისხლის სამართლის პროცესში.

გარდა ამისა, სამართლის სამაგისტრო პროგრამას დაემატება 2 ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი, რომელიც ასევე არის წარმოდგენილი ქართულ ენაზე და სტუდენტი თავად შეძლებს არჩევანის გაკეთებას თუ რომელ ენაზე შეისწავლოს სასწავლო კურსი, კერძოდ: სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში- Litigation in International Human Rights Law; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრაქტიკული გამოყენება- The Practical Applicaton of International Humanitarian Law.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

2024–2025 სასწავლო წლის განმავლობაში ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა ზოგიერთი სასწავლო კურსის განახლება, რომელთა მიზანი იყო სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, უახლესი მასალებით უზრუნველყოფა და სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება.

პროგრამის რამდენიმე სილაბუსი გადამუშავდა და განახლდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების მიმართულებით. განახლდა სასწავლო ლიტერატურა, დაემატა თანამედროვე საერთაშორისო წყაროები, რომლებიც ასახავს ფსიქოლოგიის სფეროში მიმდინარე უახლეს კვლევებსა და ტენდენციებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრაქტიკული სწავლების კომპონენტის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას და კურსებში ინტეგრირდა მეტი შემთხვევაზე დაფუძნებული დავალება, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური ფსიქოლოგიური სიტუაციების ანალიზისა და გადაწყვეტის უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებას. ასევე დაიხვეწა შეფასების სისტემა, რათა უკეთ ყოფილიყო ასახული სტუდენტთა კომპეტენციების მრავალმხრივი განვითარება.

პროგრამის განახლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ახალი არჩევითი კურსის -სპორტის ფსიქოლოგიის დანერგვა, რომელიც მიზნად ისახავს ახალი, ჯერ კიდევ ნაკლებად განვითარებული მიმართულების, სპორტული ფსიქოლოგიის პოპულარიზაციას საქართველოში და სტუდენტებისთვის ამ დარგის ძირითადი პრინციპების გაცნობას.

აღნიშნული ცვლილებები საერთო ჯამში მიმართულია პროგრამის კიდევ უფრო პრაქტიკულ, მოქნილ და თანამედროვე შინაარსზე ორიენტირებისაკენ.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

საანგარიშო პერიოდში, პირველ რიგში, განხორციელდა სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის არსებული ვერსიის დახვეწა. ამას გარდა, პრეზიდენტისა და ვიცე პრეზიდენტის მხრიდან წამოსული ინიციატივის შესაბამისად, ბრიტანულ GDC სტანდარტის მიხედვით შეიქმნა და დაიხვეწა სრულიად ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სიღრმისეულ და ინტენსიურ კლინიკურ სწავლებაზე განხორციელდა აქცენტირება. გარდა

აღნიშნულისა, პროგრამაში ასევე განხორციელდა ცალკეული წერტილოვანი ცვლილებები მისი დახვეწისა და კლინიკური ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დამსაქმებელთა გამოკითხვას, სტუდენტთა მოსაზრებებს, კურსდამთავრებულთა შეფასებებსა და სასწავლო პროცესებში ჩართული განმახორციელებელი პირების რეკომენდაციებს.

2024 წლის 28 ივნისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მოხდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა, რომლის ფარგლებშიც, საბჭომ განსაზღვრა რეკომენდაციები, რომელიც შემდეგში დაზუსტდა საბჭოს მიერ.

დაზუსტებული რეკომენდაციების საფუძველზე, ალტე უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კომიტეტმა განიხილა და აკადემიურ საბჭოზე დაამტკიცა განახლებული პროგრამის პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს მიღებული რეკომენდაციების სრულად შესრულებას. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები შეეხო შემდეგ საკითხებს:

პირველ და მეორე აკადემიურ სემესტრებში, სტუდენტებისთვის შესაძლებელი გახდა შემდეგი სასწავლო კურსების გავლა 2 სემესტრის განმავლობაში: „რუსული ენა“, „ჩინური ენა“ ან „ფრანგული ენა“. სავალდებულო სასწავლო კურსების დამატებამ გამოიწვია სასწავლო გეგმაში სხვა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების საჭიროება. შესაბამისად, ამოღებულია სასწავლო კურსი - „გუნდური ანტრეპრენერობის პროგრამა 2“ და კრედიტის მოცულობა შემცირდა სასწავლო კურზე - ,,გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში“ (6 კრედიტის ნაცვლად გახდა 5).

გარდა ამისა, სასწავლო კურსმა - „ტურიზმის სტატისტიკა“ გადმოინაცვლა მე-3 აკადემიურ სემესტრში, სასწავლო კურსმა - „კვლევის მეთოდები“ გადაინაცვლა მე-4 აკადემიურ სემესტრში, სასწავლო კურსმა - „მიკროეკონომიკა“ გადმოინაცვლა მე-3 სემესტრში (სასწავლო კურსის „მაკროეკონომიკის“ (მე-4 აკადემიური სემესტრის)

წინ), სასწავლო კურსმა- „მარკეტინგული კვლევის პრინციპები“ გადაინაცვლა მე-4 აკადემიურ სემესტრში, ხოლო პროგრამის კომპონენტი- „პრაქტიკა“ - გადავიდა მე-8 სემესტრში.

სემესტრული გადანაწილების ცვლილებებიდან და სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების უკეთესი ბალანსის შექმნის მიზნიდან გამომდინარე, სავალდებულო კომპონენტიდან ამოვიდა სასწავლო კურსები - „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ და „პროდუქტის დიზაინი“. სასწავლო კურსის - „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“-ს პროგრამიდან ამოღების საპირწონედ/დასაკომპენსირებლად, „ფინანსური აღრიცხვის“ სილაბუსში შეიცვალა თემატიკა და დაემატა სასწავლო რესურსი.

ამასთანავე, სასწავლო ლიტერატურა განახლდა შემდეგ სასწავლო კურსებში: „მენეჯმენტის საფუძვლები“, „პროექტების მენეჯმენტი“, „ოპერაციების მართვის საფუძვლები“, „მდგრადობა და სოც. პასუხისმგებლობა ტურიზმში“, „ტურიზმის პოლიტიკა“, „გაყიდვები და მარკეტინგი ტურიზმის ინდუსტრიაში“, „ტურიზმის საფუძვლები“, „ტურიზმის მენეჯმენტი“ და „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ტურიზმში“. ასევე, სასწავლო კურსს ,,მიკროეკონომიკა” , სავალდებულო სასწავლო ლიტერატურაში დაემატა 2021 წლის ლექციების კურსი - ,,მიკროეკონომიკის პრინციპები“.

გარდა ჩამოთვლილისა, პროგრამაში კიდევ განხორციელდა რიგი წერტილოვანი ცვლილებებისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამები (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი)

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამებში დაზუსტდა პროგრამის წავლის შედეგების რუკა - სასწავლო კურსების გასვლა პროგრამის სწავლის შედეგებზე დაიყო სამ ჯგუფად - ა) ჯგუფი: საფუძველს უყრის სწავლის შედეგის ფორმირებას; ბ) ჯგუფი: რომელიც მას ავითარებს; გ) ჯგუფი: რაც სწავლის შედეგის ფორმირებას ასრულებს;

გარდა ამისა, საბოლოო სტუდენტურ პროექტ 1-ს შეეცვალა სახელი და დაერქვა შესავალი საბაკალავრო პროექტში; საბოლოო სტუდენტურ პროექტ 2-ს შეეცვალა სახელი და დაერქვა საბაკალავრო პროექტი.
დაკორექტირდა სასწავლო კურსის ,,კომპიუტერის არქიტექტურა" პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მაჩვენებლები. ასწავლო კურის ცვლილებების შედეგად გადის პროგრამის პირველ, მეორე და მეხუთე შედეგზე.

კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვან პროგრამაში არჩევით საგნების ჩამონათვალში ჩაემატა პროექტების მენეჯმენტი, ეს ცვლილება აისახა პროგრამის კურიკულუმში.
კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვან პროგრამაში უცხო ენების კომპონენტში ჩაემატა სასწავლო კურსი ,,ქართული ენა 1" და ,,ქართული ენა 2". პროგრამაში ჩაემატა შესაბამისი საგნის სილაბუსები.
გარკვეულ სილაბუსებში განხორციელდა შინაარსის, ლიტერატურის, შეფასების მეთოდების და ინსტრუმენტების, საკონტაქტო საათების ცვლილება.
კურსებში კალკულუსი I და კალკულუსი II შუალედური და დასკვნითი გამოცდის გარდა ყველა სხვა შეფასებით კომპონენტს მოეხსნა მინიმალური ზღვრები.

კურსში ალბათობა და სტატისტიკა შეფასების კომპონენტიდან ამოღებული იქნას პრეზენტაცია, რომელიც ჩანაცვლდება ქვიზით. გრაფიკული დიზაინის შეიცვალოს თემების თანმიმდევრობა, რიგ შემთხვევებში დაჯგუფდეს ან განცალკევდეს, ასევე, სილაბუსში დაემატოს ფოტოშოპის ელემენტები. სასწავლო კურსში ,,ფიზიკა" შეფასების კრიტერიუმიდან ამოვიდა პრეზენტაცია, პრეზენტაციის ქულები კი გადანაწილდა სხვა შეფასებით კომპონენტებში. სასწავლო კურსში ,,კალკულუსი 1" შუალედური და დასკვნითი გამოცდის გარდა შეფასების ყველა სხვა კომპონენტს მოეხსნა მინიმალური ზღვრები. სასწავლო კურსში კალკულუსი II შუალედური და დასკვნითი გამოცდის გარდა, შეფასების ყველა სხვა კომპონენტს მოეხსნა მინიმალური ზღვრები.

სასწავლო კურსში ,,ალბათობა და სტატისტიკა” შეფასების კომპონენტიდან ამოვიდა პრეზენტაცია, რომელიც ჩანაცვლდა ქვიზით. სასწავლო კურსში <გრაფიკული დიზაინი” შეიცვალა თემების თანმიმდევრობა, რიგ შემთხვევებში დაჯგუფდა ან განცალკევდა, ასევე, სილაბუსში დაემატა ფოტოშოპის ელემენტები. სასწავლო კურსში ,,ობიექტზე ორიენტირებულ პროგრამირება”, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დავალება ჩანაცვლდა ღია და დახურული კითხვებით. სასწავლო კურსში ,,კომპიუტერის არქიტექტურა” სასწავლო კვირის თემატიკაში შეიცვალა რიგითობა და შეფასების კომპონენტებში საშინაო დავალება ჩანაცვლდა ჯგუფური პროექტით.

სასწავლო კურსში ,,მიკროპროცესორების შესავალი” სასწავლო კვირის თემატიკებში შეიცვალა რიგითობა და დაემატა ლაბორატორიული სამუშაოები.
სასწავლო კურსში ,,შესავალი პროგრამირებაში” შეიცვალა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ფორმატი. პრაქტიკული დავალებები ჩანაცვლდა ტესტური და ღია კითხვებით, ასევე, შემცირდა საგამოცდო დრო.
სასწავლო კურს შესავალი რელაციურ მონაცემთა ბაზებში შეიცვალა შეფასებითი კომპონენტები. შემცირდა საშინაო დავალებების რაოდენობა, ამოღებულ იქნა პრეზენტაცია, შეიცვალა შუალედურ და დასკვნით გამოცდაში საკითხების რაოდენობები.
აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამებში დასახული მიზნების მიღწევის ეფექტურობის გაზრდას, ასევე პროგრამის შედეგებზე გასვლის შეფასების მოქნილობის უზრუნველყოფას.

ძირითადი რაოდენობრივი ტენდენციები (ჩარიცხვა, დამთავრება, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა)

საანგარიშო პერიოდში ალტე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მდგრადი ტენდენცია იყო. 2024-25 აკადემიურ წელს უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამებზე სულ 690 სტუდენტი მიიღო, აქედან ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე

დაწესებულებაში ჩაირიცხა 372 სტუდენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების მიღმა კი 318.

რაც შეეხება მიღების ტენდენციებს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე), ძირითადი რაოდენობრივი ტენდენცია შემდეგნაირი იყო:

საგანმანათლებლო პროგრამა	**გამოცხადებული ადგილები**	**ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა**	**პროგრამის დასრულება**
სამართალი (საბაკალავრო)	60	44	32
ფსიქოლოგია	90	80	5
სამართალი (სამაგისტრო)	30	19	18
ბიზნესის ადმინისტრირება (საბაკალავრო)	90	21	41
ტურიზმი	60	21	10
ბიზნესის ადმინისტრირება (სამაგისტრო)	25	11	
კომპიუტერული მეცნიერება	90	86	
კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	20	13	203
მედიცინა	90	68	
მედიცინა (ინგლისურენოვანი)	20	4	13

ალტე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე შეფასების ტენდენციები

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების რეალიზაცია უზრუნველყოფს პროგრამების გასაუმჯობესებელი არეების გამოვლენას და მათ შემდგომ განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამების შიდა (პროგრამის ხელმძღვანელების, სტუდენტების, სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ) შეფასების შედეგად გამოიკვეთა სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა და ამ მიზნით პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერების, სწავლება-სწავლის და შეფასების შესაბამისი მეთოდების ინტენსიურად გამოყენების საჭიროება.

გარე (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, კოლეგიალური შემფასებლების მიერ) შეფასებების შედეგად გამოიკვეთა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ეფექტიანად გამოყენების, პროგრამების ადამიანური რესურსის გაძლიერების და მხარდაჭერის, მატერიალური, განსაკუთრებით საბიბლიოთეკო, რესურსის განვითარების, კვლევითი საქმიანობის გაძლიერებასა და შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების, ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერების, პროგრამების შრომის ბაზრის დინამიურად განვითარებად მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

სტუდენტთა მიღწევები

2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში ალტე უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობებს, რომელიც მათ შორის მოიცავდა: პირველკურსელთა წვეულებას, საორიენტაციო შეხვედრას ქართველ, საერთაშორისო და მობილობით გადმოსულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთა ღონისძიებას. გარდა ამისა, იმართებოდა ისეთი კლასგარეშე ღონისძიებები, როგორიცაა: სისხლის დონაცია (2 ღონისძიება), შეხვედრა თემაზე აივ/სგგი პრევენცია, ფერების ფესტივალი, ჰელოუინი და ა.შ.

აღნიშნულ ღონისძიებებში ერთიანად ჩართულ იყო 3500, როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ თითოეული ღონისძიების დასრულებისთანავე სტუდენტებს ეგზავნებათ უკუკავშირის კითხვარი, რომელიც სტანდარტიზებულია და აფასებს, როგორც ღონისძიებით კმაყოფილებას, ისე,

რეკომენდაციებს სტუდენტების მხრიდან სამომავლო გაუმჯობესებისათვის. შედეგების თანახმად, ღონისძიებათა დიდ ნაწილს კვლევაში ჩართული სტუდენტების უმრავლესობა (90% და მეტი) მაღალ შეფასებას აძლევს.

2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტების მხრიდან 40-მდე ინიციატივა დაინიცირდა და მათგან დადასტურდა 26. განხორციელებული ინიციატივების ფარგლებში ჩართული სტუდენტების ჯამურმა რაოდენობამ 4259 შეადგინა და აქედან ქართველ სტუდენტთა რაოდენობა იყო 649. გარდა ამისა, მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აღირიცხოს არა მხოლოდ სტუდენტთა რაოდენობა და მათი კმაყოფილება არამედ მათი მოქალაქეობაც, რათა უფრო ზუსტ მაჩვენებლები არსებობდეს სტუდენტთა მრავალფეროვნებაზე ინიციატივებში.

ასევე, სტუდენტური სამსახურის მხარდაჭერით გასულ სასწავლო წელს გაკეთდა სტუდენტური ომბუდსმენის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია, დამზადდა საინფორმაციო პოსტერები, სავიზიტო ბარათები, შეიქმნა ომბუდსმენის ელფოსტა და პერიოდულად ელექტრონული ფოსტის გამოყენებით სტუდენტებს უზიარდებათ ინფორმაცია აღნიშნულ სერვისთან დაკავშირებით.

ამასთან ერთად, შეიქმნა მოხალისე სტუდენტების ჯგუფი - ყველა სტუდენტს გაეგზავნა სარეგისტრაციო ფორმა, რომელშიც აფიქსირებდნენ სურვილს გამხდარიყვნენ ალტეს მოხალისე სტუდენტების ჯგუფის წევრი. მოხალისე სტუდენტები მათი თავისუფალი დროის მიხედვით ჩაერთვებიან ყველა ღონისძიების ორგანიზებაში, რომელსაც სტუდენტური გამოცდილების სამსახური აორგანიზებს. ასევე შეიქმნა ამბასადორების პროექტი, რომლის მიზანი ახლადჩარიცხული, საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერა და ადაპტაციის ხელშეწყობაა.

არდა ამისა, სტუდენტები სარგებლობდნენ უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა კეთილდღეობისა და წარმატების მენტორის სერვისით და საანგარიშო პერიოდში 170 ვიზიტი შედგა სტუდენტების მხრიდან, რომელშიც 102 უნიკალური სტუდენტი იყო წარმოდგენილი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა ურთიერთობის მიმართულებითაც. საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება 16 განსხვავებულ პარტნიორ ორგანიზაციასთან. კურსდამთავრებულებთან ასევე ზიარდებოდა ვაკანსიებიც, რომლებშიც ისინი აქტიურად აკეთებდნენ განაცხადს. აქედან, 7 გაზიარებული ვაკანსია უშუალოდ ალტე უნივერსიტეტში იყო გამოცხადებული. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ალტე უნივერსიტეტმა თავად დაასაქმა 7 სტუდენტი.

დამატებით, უნივერსიტეტში მოეწყო დასაქმების ფორუმი და ინდუსტრიის დღეები, რომლის ფარგლებშიც ალტე უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სხვადასხვა ინდუსტრიის წარმომადგენელ ორგანიზაციებს.

ბოლოსკენ, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ალტე უნივერსიტეტის 40 სტუდენტი გავიდა უცხო ქვეყნის სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა გამოცდაზე (FMGE) ინდოეთში, რომელთაგანაც 75%-მა პროცენტმა წარმატებით ჩააბარა გამოცდა.

სტუდენტთა სწავლის შედეგები შეფასების ანგარიში

ალტე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის წლიური ანგარიშები, რომელშიც ასევე განახორციელეს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით. პროგრამების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში გაანალიზებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრება 2024-2025 აკადემიური წლის ფარგლებში თითოეულ კურსთან მიმართებით და გამოთვლილია გაუსის განაწილება და საშუალო სტანდარტული გადახრა თითოეულ კურსთან მიმართებით.

საბაკალავრო პროგრამებზე კურსებში დაფიქსირებული საშუალო შეფასებები მნიშვნელოვნად დაბალი იყო როგორც ერთსაფეხურიან, ისე სამაგისტრო პროგრამებთან შედარებით. სტუდენტთა ქულების ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი ფიქსირდებოდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო

პროგრამაზე, რომელზეც სემესტრის საშუალო ქულა კურსების ფარგლებში როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრში შეადგენდა 38-ქულას.

ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი ამ ნაწილში ფიქსირდებოდა მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც შემოდგომის სემესტრში საშუალო ქულა შეადგენდა 73.7-ს, გაზაფხულის სემესტრში კი 76.4-ს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მასშტაბით, მოცემულ პროგრამაზე ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლობს და მაღალი საშუალო შეფასება მიუთითებს მაღალი აკადემიური მოსწრების დინამიურობაზე პროგრამის ფარგლებში.

ქვემოთ, ცხრილი 1-ზე მოცემულია უნივერსიტეტის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამის კურსებზე დაფიქსირებული საშუალო ქულები 2024-2025 აკადემიური წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში.

ცხრილი 1: საშუალო ქულები საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროგრამა	**საშუალო ქულა შემოდგომა**	**საშუალო ქულა გაზაფხული**
ტურიზმი	40	38.6
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო	67.4	58.4
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო	38	38
კომპიუტერული მეცნიერება	47	43.4
კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	46.2	51.8
ფსიქოლოგია	39	46.8
სამართლის საბაკალავრო	41.4	40.6
სამართლის სამაგისტრო	77.8	64
მედიცინა	63.7	60.7
მედიცინა (ინგლისურენოვანი)	73.7	76.4

სტომატოლოგია	76.3	61.4

რაც შეეხება შეფასებების გადანაწილებას პროგრამების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში შეინიშნებოდა საგანმანათლებლო პროგრამების კურსებში მინიმალური ზღვრის ვერ-გადალახვის საკმაოდ დიდი მაჩვენებელი. პროგრამების ფარგლებში დაგროვილი შეფასებების ძირითადი რაოდენობრივი ტენდენციები წარმოდგენილია ცხრილი 2 და ცხრილი 3-ზე.

ცხრილი 2: შეფასებების პროცენტული გადანაწილება პროგრამების მიხედვით: შემოდგომის სემესტრი

პროგრამა	**A**	**B**	**C**	**D**	**E**	**F**
ტურიზმი	4.3%	5.7%	6%	6%	10.1%	67.8%
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო	36.7%	31.6%	22.7%	7.5%	8.8%	29.1%
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო	3%	5.6%	8.7%	13.7%	16.7%	55%
კომპიუტერული მეცნიერება	5%	5.9%	10.4%	11%	15.2%	52.3%
კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	6.4%	6.4%	5.6%	8.7%	7.9%	64.6%
ფსიქოლოგია	4.1%	4.8%	9.1%	7.7%	14.4%	59.7%
სამართლის საბაკალავრო	2.6%	4.7%	7.8%	12.2%	21.5%	51%
სამართლის სამაგისტრო	38.3%	21%	18.7%	9%	5.2%	7.55
მედიცინა	10%	20.5%	19.3%	14.4%	12.8%	22.7%
მედიცინა (ინგლისურენოვანი)	18.8%	30.7%	22%	15.7%	7.5%	5.2%
სტომატოლოგია	26.1%	36.1%	10.7%	16.1%	8.4%	2.3%

ცხრილი 3: შეფასებების პროცენტული გადანაწილება პროგრამების მიხედვით: გაზაფხულის სემესტრი

პროგრამა	**A**	**B**	**C**	**D**	**E**	**F**
ტურიზმი	9.6%	7.6%	11.2%	12.8%	9.2%	49.4%
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო	30.7%	19.2%	21.7%	7.6%	6.4%	44.8%
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო	6.6%	6.5%	11%	9.7%	12%	60%
კომპიუტერული მეცნიერება	7%	7%	9.5%	10.4%	17.7%	48.1%
კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	6.9%	5.7%	8.6%	8.1%	10.8%	59.6%
ფსიქოლოგია	8.2%	6.5%	12.3%	12.2%	16.3%	44%
სამართლის საბაკალავრო	2.5%	7.5%	9.8%	13.4%	16.8%	49.7%
სამართლის სამაგისტრო	17.7%	18.6%	13.5%	12.7%	11.8%	25.4%
მედიცინა	10.7%	19.8%	19.4%	20.7%	14.5%	14.6%
მედიცინა (ინგლისურენოვანი)	23.3%	28.5%	21.5%	14.8%	6.8%	4.7%
სტომატოლოგია	32.1%	13%	12%	9.5%	8.3%	25%

როგორც ცხრილი 2 და ცხრილი 3 -შია ნაჩვენები, საშუალო ქულების მსგავსად, ჩაჭრის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება მედიცინის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე. რაც შეეხება ჩაჭრის ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს, ამ ნაწილში განსაკურებით აღსანიშნავია საბაკალავრო პროგრამები, სადაც, ერთი გამონაკლისის გარდა (ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შემოდგომის სემესტრში) ორივე სემესტრის განმავლობაში ჩაჭრის მაჩვენებელი აღემატებოდა 40%-ს.

3. პერსონალის განვითარების ღონისძიებები

2024–2025 აკადემიური წელი ალტე უნივერსიტეტში გამოირჩეოდა სასწავლო პროცესის სტაბილური განხორციელებითა და პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით სისტემური და მიზნობრივი ნაბიჯებით. უნივერსიტეტმა განაგრძო საქმიანობა უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად, რაც აისახა როგორც პროგრამების ეფექტიან განხორციელებაში, ასევე ადამიანური კაპიტალის გაძლიერებაში.

საანგარიშო პერიოდში პროგრამების განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა უზრუნველყო სწავლების ხარისხიანი წარმართვა, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის დაცვა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკის განხორციელება.

2024–2025 წელს უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გააძლიერა პერსონალის განვითარების სისტემა. აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი პოზიციის დაკომპლექტება: მედიცინის საერთაშორისო სკოლაში შეირჩა ტრენინგებისა და სიმულაციური სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი, ხოლო ადამიანების განვითარებისა და საქმისწარმოების დეპარტამენტში – ადამიანების განვითარების მენეჯერი. ეს ნაბიჯი უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების პროცესების უფრო სტრუქტურირებულ, სისტემურ და შედეგზე ორიენტირებულ მართვას.

ტრენინგებისა და სიმულაციური სწავლების ცენტრის ხელმძღვანელის ჩართულობით აქტიურად გადამზადდა მედიცინის საერთაშორისო სკოლის განმახორციელებელი პერსონალი მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარდა ტრენინგი პორტფოლიოს შექმნისა და გამოყენების ინსტრუმენტების შესახებ, რომელსაც უძღვებოდა საერთაშორისო ექსპერტი მაირი სკოტი. ამავე პერიოდში გაიმართა ტრენინგი სამედიცინო

სფეროში ლიდერშიფის თემაზე. საერთო ჯამში, პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობაში ჩაერთო დაახლოებით 50 თანამშრომელი.

პერსონალის განვითარების პოლიტიკა მოიცავდა როგორც პროფესიულ, ასევე გუნდური კულტურის გაძლიერების კომპონენტებს. 2024-2025 წლის გაზაფხულის სემესტრში ორგანიზებულ იქნა 80 თანამშრომელზე გათვლილი ე.წ. თიმბილდინგი, რომლის მიზანი იყო ერთიანი ხედვის, თანამშრომლობისა და საერთო მიზნებისკენ მიმართული მიდგომის გაძლიერება.

ამ პროცესების პარალელურად, პროფესიული განვითარების ღონისძიებები განხორციელდა ბიბლიოთეკისა და კვლევის მხარდაჭერისა და პროექტების განვითარების დეპარტამენტის აქტიური ინიციატივებითა და ორგანიზებით. აღნიშნული აქტივობები ემსახურებოდა კვლევითი უნარების გაძლიერებასა და აკადემიური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა სწავლების ინოვაციური და ციფრული ინსტრუმენტების უფრო აქტიური გამოყენება, კვლევითი კომპეტენციების შემდგომი გაძლიერება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და აკადემიური მენეჯმენტის უნარების განვითარება. უნივერსიტეტი აგრძელებს პერსონალის მხარდაჭერას, რათა უზრუნველყოს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება და ინსტიტუციური განვითარების მდგრადობა.

4. კვლევა

კვლევის დაფინანსება და პუბლიკაციების მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ალტე უნივერსიტეტში კვლევების მიმართულებით სულ 93,197 ლარი დაიხარჯა. რაც შეეხება პუბლიკაციებს, 2024-25 აკადემიური წლის განმავლობაში ალტე უნივერსიტეტის ლექტორებმა და ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გამოაქვეყნეს 70-მდე სამეცნიერო სტატია. აღნიშნული სტატიები დაიბეჭდა როგორც ქართულ,

ისე საერთაშორისო ჟურნალებში, რომელთა ნაწილიც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებს წარმოადგენს.

გამოქვეყნებული ნაშრომების დაახლოებით 10% გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა განაგრძოს აქტიური მუშაობა, როგორც ზოგადად კვლევითი პროდუქტიულობის, ისე მაღალ-რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებების რაოდენობის გასაზრდელად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება პერსონალის მიერ თავად მითითებულ ინფორმაციას, რომელიც სრულად არ ასახავს პერსონალის კვლევით პროდუქტიულობას წლის განმავლობაში, შესაბამისად აუცილებელია ამ ნაწილში გარკვეული მექანიზმის შემუშავება, რომელიც დაავალდებულებს პერსონალს სრულად მიუთითოს საკუთარი კვლევითი აქტივობები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოცემული ინფორმაცია შეიცავას არამხოლოდ აფილირებული არამედ არააფილირებული პერსონალის გამოქვეყნებებსაც. გამომდინარე იქიდან, რომ არააფილირებული პერსონალი ძირითადად ჩართულია სასწავლო პროცესში, მათი სამეცნიერო აქტივობა დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს სწავლება-სწავლის პროცესთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული გავლენას არ ახდენს ალტე უნივერსიტეტის სამეცნიერო პროდუქტიულობაზე, რადგან მათი სამეცნიერო აქტივობები სხვა დაწესებულებებს მიეწერება.

გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ ალტე უნივერსიტეტი, საკუთარი მისიისა და მიზნების ფარგლებში, ძირითადად გამოყენებით კვლევებზეა კონცენტრირებული, სასურველია სამომავლოდ, კვლევითი აქტივობის შეფასებისას მეტად იყოს გამოყენებული კოლეგიალური შეფასების მიდგომა, რომლის საშუალებითაც უკეთ იქნება შესაძლებელი გამოყენებითი კვლევის მნიშვნელობის შეფასება.

სხვა კვლევითი აქტივობების მიმოხილვა

გარდა გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა, ალტე უნივერსიტეტის ლექტორები საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდნენ ათობით საერთაშორისო კონფერენციაში,

კონგრესსა და სხვა სამეცნიერო/კვლევით ღონისძიებებში. აღნიშნული აქტივობების დიდი ნაწილი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებს წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იმართებოდა, ხოლო მცირე ნაწილი კი გამართული იყო საქართველოში. ლექტორები კონფერენციებში მონაწილეობდნენ როგორც მომხსენებლის, ისე დამსწრის სტატუსით, ცალკეულ შემთხვევებში კი აბსტრაქტის რეცენზენტის სტატუსითაც.

აღნიშნული მიმართულებით, ასევე აღსანიშნავია, რომ გასული წლის ანგარიშში ხაზი ჰქონდა გასმული CoARA-ს შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდგომ, მეტი ძალისხმევის გაწევის საჭიროებას კვლევის პასუხისმგებლობით შეფასებისა და გამოყენებითი კვლევის შეფასების მიმართულებებზე. ალტე უნივერსიტეტს 2025 წელს, საქსიონის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან ერთად, გაკეთებული ჰქონდა განაცხადი CoARA Cascade Funding-ის მეორე კონკურსის ფარგლებში, კვლევის პასუხისმგებლობით შეფასების პრინციპებისა და გამოყენებითი კვლევის შეფასების მექანიზმების უფრო აქტიურად დაგეგმვის მიზნით დაწესებულებაში. თუმცა, აღნიშნულმა საპროექტო განაცხადმა დაფინანსების მიღება ვერ შეძლო.

5. აკადემიური კეთილსინდისიერების განვითარება

პერსონალისა და სტუდენტების განვითარების აქტივობები

საანგარიშო პერიოდში ალტე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ორგანიზებით განხორციელდა 16 ტრენინგი სტუდენტებისათვის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ. აღნიშნულ ტრენინგებს სულ ესწრებოდა 253 სტუდენტი, რომელთაგანაც, 145 იყო ბიზნესის სკოლის სტუდენტი, 175 სამართლის სკოლის სტუდენტი და მედიცინის საერთაშორისო სკოლის 17 სტუდენტი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სკოლის 15 სტუდენტი.

პლაგიატის გამოვლენის სტატისტიკა

2024-2025 სასწავლო წელს, პლაგიატის საწინააღმდეგო Turnitin პროგრამას იყენებდა 98 ლექტორი და დარეგისტრირებული იყო 178 კლასი. ღნიშნული წარმოადგენდა პროგრესს წინა აკადემიური წლიდან, როდესაც აღნიშნული მონაცემები შეადგენდა 130 ლექტორსა და 86 კლასს. აღნიშნული ტენდენცია მოცემულია დიაგრამა 1-ზე.



დიაგრამა 1: Turnitin ის გამოყენება 2023-24 და 2024-25 წლებში

აღსანიშნავია, რომ 2024-2025 სასწავლო წელს პროგრამაში ატვირთული ნაშრომების რაოდენობა თითქმის გასამმაგდა და შეადგენდა 3624 სტუდენტურ ნაშრომს, 1372 ნაშრომთან შედარებით 2023-2024 წელს. დიაგრამა 2 ასახავს ატვირთული ნაშრომების რაოდენობის შედარებას 2023-24 და 2024-25 აკადემიურ წლებში.



დიაგრამა 2: Turnitin ში ატვირთული ნაშრომების რაოდენობა 2023-24 და 2024-25 წლებში

აღსანიშნავია, რომ იკვეთება მკაფიო განსხვავება ნაშრომების მსგავსების პროცენტულ მაჩვენებლებს შორის 2023-2024 სასწავლო წელსა და 2024 -2025 სასწავლო წელს შორის. 2023-2024 სასწავლო წელს მსგავსების მაჩვენებელი მაღალი იყო მსგავსების 25-49%; 50-74% და 75-100% მაჩვენებლებში. 2024-2025 სასწავლო წელს მაღალპროცენტიანი მსგავსების მაჩვენებლების პროცენტული წილი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული და გაზრდილი იყო 0% (477 ნაშრომი) და 1-24% (2579 ნაშრომი) მაჩვენებელი. დიაგრამა 3-ზე მოცემულია სხვადასხვა მსგავსების ტიპის ქვეშ ნაშრომთა რაოდენობა, მსგავსების ტიპის მიხედვით, ნაშრომების პროცენტული გადანაწილება კი მოცემულია დიაგრამა 4-ზე.



დიაგრამა 3: Turnitin ზე დამთხვევის მაჩვენებელი ნაშრომების რაოდენობის მიხედვით 2023-2024 და 2024-2025 წლებში.



დიაგრამა 4: Turnitin ზე დამთხვევის მაჩვენებელი დამთხვევის ტიპის პროცენტულობის მიხედვით 2023-2024 და 2024-2025 წლებში.

2024-2025 წლებში დამდგარი შედეგები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია , ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული ტრენინგებით აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. ლექტორები, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები იცნობენ და იზიარებენ აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. ლექტორებს და სტუდენტებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრირების (ე.წ. onboarding) პირველივე ეტაპზე ეცნობებათ ამის შესახებ.

6. ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაცია შინ: საგანმანათლებლო პროგრამებში ინტერკულტურული კომპონენტების გაძლიერება

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში უახლესი, ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენება.

გარდა ამისა, კომპიუტერული მეცნიერების, მედიცინისა და სტომატოლოგიის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტებისთვის დაწესებულებამ მოაწყო მათი ადაპტირების ღონისძიებები, რომელშიც გათვალისწინებული იყო სტუდენტების შესაძლო კულტურული განსხვავებები.

გარდა ამისა, მომდევნო აკადემიური წლის განმავლობაში იგეგმება უნივერსიტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში საერთაშორისო პერსონალის ჩართვა.

საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობის დინამიკა

მიმდინარე ეტაპზე, უნივერსიტეტის სტუდენტების დაახლოებით 70-%-ს შეადგენენ საერთაშორისო სტუდენტები.

სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო მობილობაში

2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში, საერთაშორისო მობილობისათვის შეირჩა ალტე უნივერსიტეტის 8 სტუდენტი (პირველი კონკურსის ფარგლებში 3 შერჩეული სტუდენტიდან, საბოლოოდ 2-მა შეძლო წასვლა, მეორე კურსის ფარგლებში შერჩეული 5 სტუდენტიდან კი 3 გაემგზავრა მობილობით. აღნიშნული

წარმოადგენს სტუდენტთა სრული რაოდენობის დაახლეობით 0.4%-ს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

რაც შეეხება ალტე უნივერსიტეტის პერსონალის საერთაშორისო მობილობას, 2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში მათ საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებსა და ინტერნაციონალიზაციის სხვა აქტივობებში

2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში ალტე უნივერსიტეტის პერსონალის აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. ᲛᲘᲛ მიმართულებით აღსანიშნავია შემდეგი აქტივობები:

- კვლევის მხარდაჭერისა და პროექტების განვითარების დეპარტამენტის გავლით დაფინანსდა 2 აკადემიური პერსონალი
- ბიზნესის სკოლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ლიეტუვაში გამართულ კვირეულზე
- CIF-ის პროექტის ფარგლებში 3 პერსონალი გაემგზავრა მივლინებით შვედეთში და ასევე სამი პერსონალი მონაწილეობდა თელავში გამართულ აქტივობაში.
- 2 აკადემიური პირი მონაწილეობდა კონფერენციაზე ბულგარეთსა და პოლონეთში და ერთი კი ENAI-ის ონლაინ კონფერენციაზე.
- ᲘᲒᲘ სხვა აკადემიური პერსონალისა მონაწილეობდა კონფერენციებში შვეიცარიასა და ლატვიაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს გაცვლითი პროექტების ინკლუზიურად ორგანიზების მიზნით კონსულტაცია გაუწია Academic Cooperation Association-მა. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის დაფინანსებულია და 6 თვის განმავლობაში გაგრძელდება, სათანადო კომუნიკაციითა და ანგარიშგებით.

2025 წლის აპრილში უნივერსიტეტში განხორციელდა საერთაშორისო პერსონალის კვირეული, რომელშიც მონაწილეობდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საერთაშორისო პერსონალის კვირეულებში ლიეტუვასა და პორტუგალიაში, ასევე ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის ფორუმში EQAF 2024 და NEAA-ს კონფერენციაში მდგრადი განვითარების შესახებ, ENAI-ს კონფერენციასა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ალტე უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანი ჩაერთო შვედეთის ინსტიტუტის Impact Pioneers პროგრამაში, დაწესებულება შეუერთდა PROFFORMANCE+-ის ამბასადორების პროგრამას, დაიწყო NASA Hackathon-ის განხორციელება, ასევე უნივერსიტეტს სტუმრობდა გდანსკის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი ალტე-ს პრაქტიკის გაზიარების მიზნით კვლევის შეფასების მიმართულებით - CoARA-ს ინიციატივის ფარგლებში;

ამასთანავე, 2024-25 წლის განმავლობაში გრძელდებოდა Lifestrand CBHE პროექტი, და უნივერსიტეტის პერსონალი ასევე მონაწილეობდა ახალი საპროექტო განაცხადების მომზადებაში (CBHE, EIT, Jean-Monnet); დაწესებულებაში შეიქმნა ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის დაფინანსების მოპოვების წესი, რომლის შესახებაც ეცნობა პერსონალს.

საერთაშორისო სტუდენტების კმაყოფილება

2024 წლის შემოდგომაზე ჩატარებული სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტით დაბალი კმაყოფილების ტენდენცია. აღნიშნული განსაკუთრებით ნათელი იყო მათი Net Promoter Score (NPS) ის მაგალითზე, რომელსაც საერთაშორისო სტუდენტების შემთხვევაში უარყოფითი რიცხვითი მაჩვენებელი ჰქონდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი 2025-2026 წლის შემოდგომაზე განახორციელებს თემატურ ანალიზს საერთაშორისო სტუდენტების კმაყოფილების შესახებ, რომლის ფარგლებშიც უფრო დეტალურად იქნება შესწავლილი სტუდენტთა განწყობები და საჭიროებები, რათა საერთაშორისო სტუდენტებისათვის შესაძლებელი გახდეს უკეთესი სტუდენტური გამოცდილების შეთავაზება.

საერთაშორისო თანამშრომლობის ტენდენციების მიმოხილვა

საერთაშორისო თანამშრომლობის ნაწილში უნივერსიტეტს საკმაოდ მაღალი წარმატება ჰქონდა საანგარიშო პერიოდში. კერძოდ, 2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა გააფორმა 35 ზე მეტი ახალი მემორანდუმი საერთაშორისო პარტნიორებთან. ასევე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაწესებულების ისტორიაში პირველად ჩატარდა საერთაშორისო პერსონალის კვირეულიც.

7. მეწარმეობისა და ინოვაციების ხელშემწყობი და მესამე მისიის აქტივობები

ინოვაციებისა და მეწარმოების ხელშეწყობა

ალტე უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდში აქტიურად იყო ჩართული ინოვაციებისა და მეწარმოების ხელშემწყობ აქტივობებში. ამ ნაწილში განსაკუთრებულად აქტიური იყო ალტე უნივერსიტეტის ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრი. ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიებები:

2025 წლის ივნისში, X–XII კლასის მოსწავლეებისთვის გაიმართა 2-დღიანი Arduino ჰაკათონი, რომლის მიზანიც ტექნოლოგიებით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის პრაქტიკული გამოცდილების შეთავაზება, ინოვაციურ გარემოსთან ზიარება და ელექტრონიკისა და პროგრამირებისთვის საჭირო საბაზისო უნარების განვითარება გახლდათ. ჰაკათონი ემსახურებოდა სკოლის მოსწავლეებში STEM მიმართულებების პოპულარიზაციას, საინჟინრო აზროვნების წახალისებასა და ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერებას. პროექტში მონაწილეობისთვის შეირჩა 3-4 მოსწავლისგან დაკომპლექტებული 9 გუნდი. მონაწილეები ორი დღის განმავლობაში, საინფორმაციო ეტქნოლოგიების სტუდენტებისა და ლექტორების მენტორობით მუშაობდნენ იდეების გენერირებაზე, კოდისა და პროტოტიპების შექმნასა და პრეზენტაციების მომზადებაზე. მოსწავლეებმა პრაქტიკულად გამოსცადეს Arduino პლატფორმისა

და ელექტრონული მოდულების ფუნქციონალი, გაიუმჯობესეს კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნებისა და ინოვაციური პრობლემების გადაჭრის უნარები. პროექტის დასასრულს გუნდებმა ჟიურის წინაშე წარადგინეს საკუთარი ნაშრომები. გამარჯვებულ გუნდს "ალტე უნივერსიტეტისგან გადაეცა ფულადი პრიზი და რესურსებით მხარდაჭერა საკუთარი ინიციატივის განსახორციელებლად.

2025 წლის ივნისში ასევე ჩატარდა STEM ოლიმპიადა, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებითა და ინჟინერიით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის საქართველოს ბანკისა და კომაროვის სკოლის ორგანიზებით ტარდებოდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ალტეს უნივერსიტეტიც იყო პროექტის პარტნიორი, და სკოლის მონაწილეებს მთლიანი პროექტის განმავლობაში უმასპინძლა. ფინალისთვის მოსამზადებლად მოსწავლეებისთვის ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები, სადაც მონაწილე გუნდებმა და არჩეულმა მენტორებმა კომაროვის სპეციალისტებთან ერთად ინტენსიური გადამზადების კურსი გაიარეს.

ასევე, 2025 წლის მაისში, ალტე უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სკოლის სტუდენტების ორგანიზებით, XI–XII კლასის მოსწავლეებისთვის ჩაატარდა Arduino-ს ინტენსიური 3-კვირიან პრაქტიკული კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ინჟინერიის, პროგრამირებისა და ელექტრონიკის საბაზისო ცოდნის პოპულარიზაციას ახალგაზრდებში. პროგრამა მოიცავდა Arduino პლატფორმის საფუძვლებს, სხვადასხვა ტიპის სენსორებისა და ფიზიკური მოწყობილობების მუშაობის გაცნობასა და ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც საჭიროა რეალური საინჟინრო პროექტების შესაქმნელად. კურსის ბოლოს მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ Arduino ჰაკათონში. სასწავლო პროცესს უძღვებოდნენ კომპიუტერული მეცნიერებების სკოლის სტუდენტები, საბა გვარამაძე და ლევან ომაძე. პროგრამამ მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცა, რეალურად გამოეცადათ საინჟინრო პროცესები და უკეთ გაეაზრებინათ როგორ მუშაობს თანამედროვე ელექტრონიკა.

საანგარიშო პერიოდში ალტე უნივერსიტეტი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. საზოგადოების განვითარების აღნიშნული აქტივობები მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა შემდეგს:

საჯარო ლექციები: რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტში სხვადასხვა სფეროს ცნობილი წარმომადგენლები მართავენ შეხვედრებს, სადაც დაინტერესებულებს აცნობდნენ ინფორმაციას პროფესიების შესახებ.

მესამე მისიის აქტივობები

ალტე უნივერსიტეტმა 2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში 40-მდე პროექტი განახორციელა თავისი საზოგადოებრივი საქმიანობის ფარგლებში. აღნიშნული მოიცავდა როგორც საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კლასგარეშე აქტივობებს, ისე კომერციულ პროექტებსაც, რომელთაც ალტე უნივერსიტეტი სხვადასხვა კომპანიების დაკვეთით ახორციელებდა.

მესამე მისიის აქტივობების ფარგლებში ერთ-ერთ უმთავრეს სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სკოლის მოსწავლეები, რომელთა მონაწილეობითაც უნივერსიტეტმა წლის განმავლობაში 20-მდე პროექტი (შეხვედრები, ტრენინგები, კონკურსები, კურსები) განახორციელა და მათში საერთო ჯამში რამდენიმე ასეულმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მსგავსი პროექტების მაგალითებია: ფსიქოლოგიის სკოლა აბიტურიენტებისათვის, რომელშიც 100-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, Start-up მარათონი სკოლის მოსწავლეებისთვის, რომელშიც 400-ზე მეტმა მოსწავლემ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი, Career Hunter Camp -პროფესიული ბანაკი, რომელშიც 50-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და ა.შ.

გარდა მოსწავლეებისა, ალტე უნივერსიტეტმა განახორციელა რიგი ღონისძიებებისა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთათვისაც. აღნიშნული სამიზნე ჯუფისათვის განკუთვნილ ღონისძიებებში 100-მდე მასწავლებლემა მიიღო მონაწილეობა და ღონისძიებები მოიცავდა ისეთ აქტივობებს როგორიცაა: პირველადი დახმარების კურსი Erasmus+ ის დაფინანსებული პროექტი "LIFESTRAND" ის ფარგლებში; არაფორმალური განათლების კონკურსი - მასწავლებლებისთვის; ასევე მასწავლებლის ეროვნული

ჯილდოს ათეულთა ყოველწლიური კონფერენციაასევე მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა ყოველწლიური კონფერენცია. .

გარდა ამისა, მესამე მისიის ფარგლებში განხორციელებული ზოგიერთი აქტივობა მიმართული იყო უშუალოდ ალტე უნივერსიტეტის სტუდენტებზე. ანგარიშო პერიოდში გაიმართა არაერთი მსგავსი ტიპის ღონისძიება, რომელთა მაგალითებიცაა, ვორქშოფები: პრობლემის კრეატიულად გადაჭრის გზები; როგორ ვიმუშაოთ გუნდში ეფექტურად - რომელთაც ალტე უნივერსიტეტის 30 სტუდენტი დაესწრო.

აც შეეხება მესამე მისიის ფარგლებში განხორციელებულ კომერციულ აქტივობებს, აღნიშნული უმეტესწილად ხორციელდებოდა უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში და მოიცავდა განხორციელებულ ღონისძიებებს ისეთ მნიშვნელოვან ქართლ კომპანიებთან თანამშრომლობის ფარგლებში, როგორიცაა ვიანი, ირაო და საქართველოს ბანკებს.

8. ელექტრონულ სისტემებთან სტუდენტებისა და პერსონალის ინტერაქციის მიმოხილვა

სტუდენტების მხრიდან ელექტრონული სისტემების გამოყენების ნაწილში, უნივერისტეტის მიერ გამოყენებულ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას რაოდენობრივად ყველაზე ხშირად იყენებდნენ მედიცინის საერთაშორისო სკოლის სტუდენტები, რომელთა login-ების რაოდენობა საანგარიშო პერიოდში თითქმის 50,000-სთან იყო მიახლოებული, რისი უდიდესი ნაწილიც მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებზე მოდიოდა.

მედიცინის საერთაშორისო სკოლის შემდეგ, ყველაზე აქტიურად პორტალს იყენებდნენ სამართლისა და სოციალური მეცნიერებების სტუდენტები, განსაკუთრებით სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მედიცინის საერთაშორისო სკოლის სტუდენტების რაოდენობა რამდენიმეჯერ აღემატება სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა

სკოლის სტუდენტების რაოდენობას, ცალკეული სტუდენტის მხრიდან საშუალოდ უფრო ხშირი იყო პორტალის გამოყენება სამართლისა და სოციალური მეცნიერებების სკოლაში.

ამის შემდეგ, სტუდენტური პლატფორმის გამოყენების სიხშირე კვლავ შეესაბამებოდა სტუდენტთა რაოდენობას სკოლებში, ჯერ მოდიოდა ბიზნესის სკოლის სტუდენტები, ბოლოს კი საინფორმაციო ტექნოლოგიების სკოლის სტუდენტები.

ასევე აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისადმი ზოგადი კმაყოფილების გამოკითხვაში სტუდენტთა თითქმის 60% აფიქსირებდა მაღალ კმაყოფილებას.

აც შეეხება ადმინისტრაციასა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, ადმინისტრაციის მხრიდან სისტემაში შესვლის რაოდენობა 2254 იყო, ხოლო აკადემიური/მოწვეული პერსონალისაგან კი 9001. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის თითქმის 75% მაღალ კმაყოფილებას გამოთქვამდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმით, ხოლო ადმინისტრაციის შემთხვევაში კი კმაყოფილება გაცილებით უფრო ნაკლები იყო, თუმცა ადმინისტრაციის შემთხვევაში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა თითქმის 50% აფიქსირებდა რომ არ ჰქონდა შეხება აღნიშნულ სისტემასთან.

9. რეაგირება და გაუმჯობესება წინა წლის ანგარიშის გათვალისწინებით

2023-2024 აკადემიური წლის ხარისხის უზრუნველყოფის წლიურ ანგარიშში, რომელიც 2024 წლის ბოლოს მომზადდა, ხაზი ჰქონდა გასმული საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების უფრო აქტიურ ჩართულობას. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ამ ნაწილში პროგრამების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის ხარისხი და 2025 წლის ბოლოს ყველა პროგრამის ხელმძღვანელმა მოამზადა წლიური ანგარიში

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებასთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ 2023-2024 წლის ანგარიშში კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული, თუმცა მითითებული იყო პროგრამებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულების მიზნით ანგარიშგების გამჭვირვალე მექანიზმის არსებობის საჭიროება, რომელიც გააჯანსაღებდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს უნივერისტეტში. ამ ნაწილში აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა და დაიხვეწა უნივერსიტეტში ხარისხის შიდა შეფასებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც მათ შორის შეეხება კონკრეტული პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელ ცვლილებებსაც.

ამასთანავე, გასული წლის ანგარიშში აღნიშნული იყო კვლევითი მიმართულების განვითარების საჭიროებები, როგორც გამოქვეყნებული პუბლიკაციების ხარისხის, ისე რაოდენობის მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ზემოთ უკვე იყო ნახსენები, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი პერსონალის გამოქვეყნებების რაოდენობები, თუმცაღა მათი პუბლიკაციების ხარისხი დღემდე გამოწვევად რჩება და ამ მიმართულებით, უნივერსიტეტმა საჭიროა, რომ მეტი ძალისხმევა გაწიოს.